

საზღვრული სახელის რიცხვი ორ და მეტ
მსაზღვრელთან (დიდი და პატარა სახლი თუ
დიდი და პატარა სახლები?)

ქართულში, ისე როგორც სხვა ენებში, საზღვრულ სახელს შეიძლება უკავშირდებოდეს ერთზე მეტი ერთგვარი ან არაერთგვარი მსაზღვრელი. ეს მსაზღვრელები ზოგჯერ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, სხვადასხვა მხრით ახასიათებენ საზღვრულს: **კეთილი და სასიამოვნო დიმილი, საშინაო და საოჯახო საქმე, მაღალი და გამზდარი კაცი, ფართო და ნათელი დარბაზი...** ამგვარი შემთხვევები ამჟამად ჩვენ არ გვიანტერესებს. ამჟამად არც ისეთ შემთხვევებს განვიხილავთ, როდესაც ერთზე მეტმსაზღვრელიანი საზღვრული მრავლობითშია წარმოდგენილი იმიტომ, რომ ის თავისი თუნდაც ერთ-ერთი მსაზღვრელითურთ შინაარსობრივად ერთზე მეტ საგანს ვარაუდობს. მაგალითად, თუ გამოფენის ორი დარბაზი მაინც ივარაუდება ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში, იგი კარგავს ჩვენი საკითხის თვალსაზრისით ინტერესს: „**შოთა რუსთაველის სახელობის სააქტო და გამოფენის დარბაზებში შეკრების მონაწილნი გაეცნენ ფერწერულ ტილოებს**“ — „**ახ. კომ.**“

ასევე, რადგანაც არ არსებობს ცალკე სპეციალობა „**საბუნებისმეტყველო**“ ან ცალკე — „**ტექნიკური**“, არამედ არის რამდენიმე საბუნებისმეტყველო სპეციალობა და რამდენიმე — ტექნიკური, არც ქვემოთ მოყვანილი მაგალითია ჩვენი საკითხის თვალსაზრისით საინტერესო: „**ქართველი კაცი, რომელიც საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ სპეციალობებს ეუფლება, მშობლიურ ლიტერატურას მხოლოდ საშუალო სკოლაში ეცნობა.**“ „**ლიტ. საქ.**“

ანალოგიური შემთხვევებია:

ყველას უთენდება ცხოვრებაში **კარგიცა და ცუდი დღეებიც** (ივ. მაჭავ. თარგმ.).

შემდეგ მათ მისდევდა გრძელი, სქელი, დიდი და პატარა წიგნები — ყდა უწიგნოდ და წიგნი უყდოდ (თ. საყვ. და ლ. ტიტვინ. თარგმ.).

[ლევინი]... ყოველთვის გონებრივი და სულიერი ძალების მეტისმეტ დაძაბვას იწვევდა მასში (თ. საყვ. და ლ. ტიტვინ. თარგმ.).

ორი ანთებული სანთელი შუქსა ჰვენდა ანას მშობლებისა და მეგობრების პორტრეტებს (თ. საყვ. და ლ. ტიტვინ. თარგმ.).

ამ შემთხვევებში საზღვრული მრავლობითში იმიტომაა დასმული, რომ რეალურად ერთზე მეტი საგანი ივარაუდება: ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი სულიერი და ერთზე მეტი გონებრივი ძალა, ცხოვრებაში მას შეიძლება გაუთენდეს რამდენიმე კარგი ან რამდენიმე ცუდი დღე. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევებში საზღვრულის გრამატიკული რიცხვი მისივე რეალური შინაარსის ერთადერთი შესაფერი გამოხატულებაა. ზემოთ მოყვანილ წინადადებებში თითო მსაზღვრელიც რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, საზღვრული შეიძლებოდა მაინც მრავლობითში დასმულიყო: **სქელი წიგნები, გონებრივი ძალები, საბუნებისმეტყველო სპეციალობები** და ა. შ.

ერთ საზღვრულთან დაკავშირებული ერთზე მეტი მსაზღვრელის აქამდე განხილულ შემთხვევათა ორი რიგი სავსებით მართებულად გვიჩვენებს საზღვრულის რიცხვს. ორივეგან წარმოდგენილი ვითარებაა დასაშვები და სწორი. მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით სხვა შემთხვევებზე, როცა რამდენიმე მსაზღვრელისგან კონტექსტის მიხედვით თითოეულს ერთი საზღვრული შეეფერება და მიუხედავად ამისა, საზღვრული ხან მხოლოდობით რიცხვში დგას და ხან მრავლობითში: **გერმანული და რუსული ენა||გერმანული და რუსული ენები; დიდი და პატარა სახლი||დიდი და პატარა სახლები; მოსკოვისა და თბილისის კონსერვატორია||მოსკოვისა და თბილისის კონსერვატორიები...**

ამჯერად ჩვენს მიზანს სწორედ ამგვარი შემთხვევების განხილვა წარმოადგენს.

ერთ საზღვრულს შეიძლება უკავშირდებოდეს ერთზე მეტი ატრიბუტული, ერთზე მეტი მართული და ორივე ტიპის (ატრიბუტული და მართული) მსაზღვრელები, მაგალითად:

დროუხვია და უკვდავი ქართველი და სომეხი ხალხების მობა-მეგობრობა („საბჭ. ხელ.“).

ერთდროულად გამოქვეყნდა... „ჯაქომო ჯოისის“ ქართული და რუსული თარგმანები („ლიტ. საქ.“).

ამ თარიღთან დაკავშირებით ღირსეულად დაფასდა რესპუბლიკის მოწარდმაყურებელთა და თოჯინების თეატრების ღვაწლი („საბჭ. ხელ.“).

პირველ ჯგუფში თბილისელებთან ერთად გამოდიოდნენ ესტონეთის, უზბეკეთისა და ლენინგრადის კოლექტივები („ლელო“).

წყნარი და ინდოეთის ოკეანეების სივრცეს თვეების განმავლობაში არ ტოვებენ... მცურავი ქარხნები („ლელო“).

ასეთ სკოლაში ძლიერია როგორც სკოლის, ისე ცალკეული საკლასო კოლექტივები („ლიტ. საქ.“).

სწორედ სსრ კავშირის III ჩემპიონატზე იქნა შემოღებული პრინციპი: ბრძოლა ორ წრედ, მატჩები მოწინააღმდეგისა და საკუთარ მიმდევრებზე („ლელო“).

აღნიშნული ტიპის შეხამებები მეტ-ნაკლებად შეიძლება შეგვხედეს ყოველგვარი სახის ნაწარმოებში, მაგრამ ამ ბოლო დროს მათი სიჭარბე შეიმიჩნევა განსაკუთრებით პრესის ენაში. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმ თემატიკის სპეციფიკურობით, რომელსაც, ძირითადად, ემსახურება პრესა. ქვემოთ მოყვანილი საილუსტრაციო მასალა ან მოსაზრების ნათელყოფას ისახავს მიზნად.

კ. გამსახურდიას რვატომეულის მესამე და მეოთხე ტომები მთლიანად მიეძღვნება ტეტრალოგიას „დავით აღმაშენებელს“ („თბილისი“).

კარპოვმა I—II ადგილები გაიყო („ლელო“).

ინსტიტუტს კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ძლიერი გუნდები ჰყავს („ლელო“).

ამ ლამაზ შენობაში... მეორე წელიწადია მუშაობს მექანიკა-მათემატიკის, კიბერნეტიკისა და ეკონომიური ფაკულტეტები („სამშობლო“).

ყრილობის მასალების პროპაგანდის საქმეში განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ქალაქის № 2 და № 3 ბიბლიოთეკები („ჭიათ. მალარ.“).

... დასადასტურებლად მოლარემ გამოწერა № 629 და № 661 ქვეთრები („თბილისი“).

ვაჭრობის წესების სხვადასხვა დარღვევები დადგინდა... № 1 და № 2 სახაშეებში („გამარჯვება“).

მესამე და მეოთხე ადგილებზე არიან შევეცია და ისლანდია („გამარჯვება“).

წარმატებით გრძელდება შაქრის ქარხლის ამოღება-გადაზიდვა პირველ და მეორე აგროუზნებში („გამარჯვება“).

გარდაბნის რაიონში, ვარკეთილის თუ კრწანისის საბჭოთა მეურნეობებში ინსტიტუტის სტუდენტები მუშაობენ თივის დამზადებაზე („თბილისი“).

... დაიწალა ბაღმინტონისტთა ჯგუფები თბილისის უცხო ენებისა და სამედიცინო ინსტიტუტებში („ლელო“).

საზოგადოება ინტერესით შეხვდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკების მხატვართა გამოფენებს თბილისში („საბჭ. ხელ.“).

[ფესტივალი]... საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ და მცირე საკონცერტო დარბაზებში გაიმართა („საშობლო“).

ჩვენ გვაქვს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი დიდი და პატარა სარბიელებით („ლელო“).

ჯერჯერობით ვერ გადაწყვიტეთ ესპანური და იტალიური ენების საკითხი („კომუნისტი“).

საილუსტრაციო მავალითების გამრავლება შეიძლება.

საკითხი ისმის: როგორია საზღვრულის რიცხვი ამგვარ შესიტყვებებში?

უნდა ითქვას, რომ საკმაოდ გამოკვეთილია და ხელშესახები ტენდენცია, რომელიც მქლავნდება სახელმძღვანელოთა და პრესის ენაში. ტენდენცია იქითკენაა მიმართული, რომ საზღვრული წარმოდგენილ იქნეს მრავლობით რიცხვში. მაგრამ ყოველთვის ასეა? შეიძლება თუ არა რაიმე კანონზომიერების დადგენა ამ მხრივ? რითაა გამოწვეული საზღვრულის რიცხვი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია დასმული საკითხის გასარკვევად.

უკანასკნელ კითხვასთან დაკავშირებით ამთავითვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

მსაზღვრელისა და საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობის დროს სინტაგმაში წამყვანი წევრი საზღვრულია. ის ითანხმებს მსაზღვრელს (მსაზღვრელებს) ბრუნვასა და რიცხვში და ის მართავს მსაზღვრელს (მსაზღვრელებს) ბრუნვაში. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმის გამოიმწვევი მიზეზის შესახებ, არ იგულისხმება სინტაქსური შეთანხმება.

მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრ შემთხვევაში საზღვრულის რიცხვის არჩევას შინაარსობრივი მომენტი განსაზღვრავს. საზღვრულის დასმა მხოლოდობითში ან მრავლობითში ზოგჯერ მნიშვნელობას უცვლის ფრაზას; ამიტომ ფრაზის ავტორი ცდილობს დააზუსტოს მისი შინაარსი, ნათელყოს, რომ ლაპარაკია ორ (ან მეტ) საგანზე და ამ საგნის სახელს შესაბამისად მრავლობით რიცხვში წარმოგვიდგენს. მაგალითად, რომ ავიღოთ ორი შესიტყვება: **თბილისისა და მოსკოვის გუნდი** და **თბილისისა და მოსკოვის გუნდები**, — პირველ შემთხვევაში მთლად ნათელი არ არის, ორი ქალაქის ორ სხვადასხვა გუნდზეა ლაპარაკი, თუ ამ ქალაქების ერთ (ერთკვანთ, ნაკრებ) გუნდზე, მეორე შემთხვევაში კი ასეთი აღრევა გამორიცხულია. ამიტომ საზღვრულის მრავლობითში დასმას ამ შემთხვევაში გარკვეული

სემასიოლოგიური ფუნქცია ეკისრება და ეს ფორმა სათანადო კონტექსტებში სავსებით გამართლებულია. საილუსტრაციო მასალა მდიდარია, ქვემოთ მხოლოდ ტიპობრივ შემთხვევებს დავიმოწმებთ:

სპორტის მოყვარულმა კვლავ იხილა მწვანე მინდორზე საბჭოთა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები („ლელო“).

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა გუნდები მასპინძლობდნენ საფრანგეთის უნივერსიტეტის ქალთა და ვაჟთა გუნდებს („სოფლის ცხოვრება“).

ორ წელიწადში ისინი მგლინავის, მღარავეისა და ელექტროშემდუღებლის პროფესიებს დაუფლებიან („სამშობლო“).

მათემატიკის, ფიზიკისა თუ ქიმიის სპეციალობებზე მყოფ პირველკურსელებს დრო როდი ეკარგებათ („სახ. გან.“).

თბილისის ლოკომოტივის სტადიონზე გაიმართა მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტების მძლეოსანთა მატჩი („ლელო“).

მოსკოვის, თბილისის, პრადისა და სოფიის უნივერსიტეტების მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდები შეეჯიბრებიან ერთმანეთს („ლელო“).

მეგობრობა პრადისა და თბილისის კონსერვატორიებს შორის 1967 წ. დაიწყო („თბილისი“).

პირველ ჯგუფში თბილისელებთან ერთად გამოდიოდნენ ესტონეთის, უზბეკეთისა და ლენინგრადის კოლექტივები („ლელო“).

ქვეყნის ჩემპიონატში... ლიდრობს კიევის ხელბურთელ ქალთა ორი გუნდი — „სპარტაკისა“ და № 3 ბინათმშენებელი კომბინატის კოლექტივები („ლელო“).

გემზე შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის სექციები („ლელო“).

გაისმის სსრ კავშირისა და ლატვიის სახელმწიფო ჰიმნები („ლელო“).

ობელისკს ამშვენებს ორი ხალხის დიდი შვილების — შოთა რუსთაველისა და ალიშერ ნავოის ბარელიეფები („ლიტ. გან.“).

1970 წელს დედაქალაქში მოეწყო აგრეთვე თვითნასწავლ და ახალგაზრდა მხატვართა... გამოფენები („საბჭ. ხელ.“).

სასამოვნო იყო შეხვედრები... პოგოდინისა და ლომონოსოვის სახელობის ბიბლიოთეკებში („ახ. კომ.“).

... არაერთხელ დააპატიმრეს და მოათავსეს მეტეხისა და ქუთაისის ციხეებში („თბილისი“).

პადე-კალეს სრუტე, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის სანაპიროებს ყოფს..., შეიძლება გადაილახოს („ლელო“).

ეს... გაადიდებდა წყლის მოდენას აზოვისა და კასპიის ზღვებში („ახ. კომ.“).

რას მოგვეცემს... წყლების გადაშევა კამის, ვოლგის, დნეპრის, დონის აუზებში? („ახ. კომ.“).

ძველ ქალაქში ნახავთ... XVII ს. ფუფუნების მატარებელ ბაროკოს (წმ. პეტრესა და პავლეს ტაძრები) („გამარჯვენა“).

არქიტექტორმა... თავისი გამოსვლა გელათის, მოწამეთის, ბაგრატიის ტაძრების დაცვის საკითხებს მიუძღვნა („ახ. კომ.“).

... მოსკოველი მეცნიერი... ესწრებოდა „ავტომობილებისა და ტრაქტორების“ და „საავტომობილო ტრანსპორტის“ კათედრების თანამშრომელთა სხდომაზე („თბილისი“).

ამჟამად დამთავრების პროცესშია ბიოლოგიისა და ქიმიის ფაკულტეტების კორპუსის საპროექტო ნახაზების დამუშავება („სამშობლო“).

მოყვანილი მაგალითების გვერდით ვვხვდებით არაერთი შემთხვევა, როდესაც ფრაზის შინაარსობრივი თავისებურების გამო საზღვრულის მრავლობით რიცხვში დაუსმელადაც გამოირიცხულია ორ-აზროვნება, მაგრამ საზღვრული მაინც მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი. მაგალითად:

გატენეს არაერთი მაღაზია, ატელიე და პავილიონი ა. წერეთლისა და ბლენხანოვის პროსპექტებზე („კომუნისტი“).

იმ დღეს ჩვეულებრივი სიწყნარე სუფევდა კლდიაშვილისა და ნიწოშვილის ქუჩების გადაკვეთაზე („თბილისი“).

ხოვისა და გალის რაიონების მესიმინდეთა ვალდებულებანი („კომუნისტი“).

მონბლანის, მყინვარისა და იალბუზის სიმალღეთა საშუალო არითმეტიკული ეტოლება... („არითმეტიკა“, V-VI კლ.).

მდინარე ნილოსის, ამაზონისა და ვოლგის სიგრძეთა ჯამი... („არითმეტიკა“, V-VI კლ.).

... თბილისივე მოეწყო ლადო გუდიაშვილის, კობა გურულის, ნათელა იანქოშვილის, ელენე დიგუროვა-ქიქოძის, ჯემალ ლოლუასა და სხვათა პერსონალური გამოფენები („საბჭ. ხელ.“).

ანალოგიურ შესიტყვებათა მეორე წყებაში სათანადო რიცხვითი სახელით აღნიშნულია, რომ საზღვრული ერთზე მეტია. ამიტომ საზღვრული, ბუნებრივია, დასმულია მხოლოდობით რიცხვში, მაგრამ დაზუსტების მიზნით იგი მეორდება და უკვე მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი:

სამარხში ორი გამოქანდაკებული თავი... იბოვეს — ხნიერი მამაკაცისა და ქაბუკი მემორის თავები (გ. ფანჯიკ.).

ბოლშევიკებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს რაიონის ორივე სათათბიროში — კალუგისა და პიატნიცკის სათათბიროებში („კომუნისტი“).

ყვავილოვან მცენარეებს თესლში ლებნების რაოდენობის მიხედვით ყოფენ ორ დიდ... კლასად — ორლებნიანთა და ერთლებნიანთა კლასებად („ბოტანიკა“, V-VI კლ.).

პირველ ქვეჯგუფში სამმა კოლექტივმა — იუგოსლავიის, გფრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდებმა 4-4 ქულა დააგროვეს („ლელო“).

... ბევრი რამ გააყვითა საქართველოს ორი უდიდესი თეატრალური კოლექტივის — რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების ჩამოყალიბებისა და აყვავებისათვის („კომუნისტი“).

მსგავს შესიტყვეებებში საზღვრული, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი. ამ წესიდან გადახვევის შემთხვევები ძალიან იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება:

მელორ სტურუამ „ნედელის“ მკითხველებს დაწვრილებით გააცნო კოსმონავტების — ჩარლზ კონრადის, რიჩარდ გორდონისა და ალან ბინის ბიოგრაფია („ხაშშობლო“).

ლევინებისა და შჩერბაცკების ოჯახი ძველი, მოსკოველ თავდღა ოჯახები იყო (თ. საყვ. და ლ. ტიტვინ. თარგმ.).

დაუსწრებელი სწავლების წილი კიდევ უფრო გაზრდილია ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. დღისა და საღამოს განყოფილებაზე აქ 466 სტუდენტი სწავლობს („ახ. კომ.“).

სახლის მეორე სართულზე მოეწყო ქალთა და მამაკაცთა სალონი („კომუნისტი“).

ჟ. სარალძისა და ც. აბესაძის ბრიგადის მკერაეები ერთ აგრეგატზე მუშაობდნენ („ჭაათ. მაღარ.“)².

მოყვანილი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ორ ან მეტ მართულ მსაზღვრელთან საზღვრულის მრავლობითში დასმა ნორმას წარმოადგენს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში³.

1 იგულისხმება ორი სალონი: სტატიისი საუბარია საშხაპო-სამკურნალო დაწესებულებაზე.

2 ტექსტიდან ჩანს, რომ ორი ბრიგადაა. იქვე ვკითხულობთ: „წუნიდებული პროდუქციის გამოშვებაში დამნაშავე იყო ორივე ბრიგადა“.

3 რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში ანალოგიურ შემთხვევათათვის აღნიშნულია, რომ, რადგან ამგვარ შესიტყვეებებში საზღვრულის მხოლოდობითა რიცხვი ხაზს უსვამს მსაზღვრელთა შორის შინაგან კავშირს (подчеркивает внутреннюю связь перечисляемых разновидностей предметов), ამიტომ, ჩვეულებრივ მხოლოდობითი რიცხვია ხოლმე გამოყენებული ე. წ. ტერმინოლოგიური ხასიათის შესიტყვეებებში (головной и спиной мозг; брюшной и сыпной тиф...) იხ. Д. Е. Розенталь, Практическая стилистика русско-го языка, Москва, 1965, გვ. 247-259.

საინტერესოა, რომ დღევანდელ ქართულში ამგვარი მყარი გამოთქმებიც კი მოექცა. ხსენებული ტენდენციის გავლენის ქვეშ და გამორიცხული არაა შევხვდეთ „ტივინებს“, „ტიფებს“ და მისთ.: „არც თუ იშვიათად საღმონელები ზედ ვრთვის სხვა ინფექციურ დაავადებებს (მუცლისა და შებრუნებული ტიფები ი., ჰეპატიტი და სხვ.) („კომუნისტი“).

გაცილებით უფრო ჭრელი სურათია იმ შემთხვევაში, როცა ატრიბუტულმსაზღვრელიანი შესიტყვებები გვაქვს.

ატრიბუტულმსაზღვრელიანი სინტაგმები განსხვავდება მართულმსაზღვრელიანთაგან, უპირველეს ყოვლისა, შინაარსით. პირველნი, ძირითადად, საზღვრულის რაიმე ნიშანზე, თვისებაზე მიუთითებენ, მეორენი კი — კუთვნილებაზე, წარმომავლობაზე. რამდენიმე ატრიბუტულ მსაზღვრელთან ხშირად გვხვდება საზღვრული მხოლოდობით რიცხვში იმის გამოც, რომ ნიშანზე ან თვისებაზე მითითება ხაზს უსვამს სინტაგმის თითოეული კომპონენტის თავისთავადობას, დამოუკიდებლობას. ამიტომ აღრევა თითქოს უფრო ნაკლებ მოსალოდნელია.

მივადექი გაშლილ მიდამოს, სადაც წითელი და ცისფერი სასახლე აღმართულიყო (მ. გომართ. თარგმ.).

ორ სასახლეზეა ლაპარაკი მოთხრობის ტექსტში და ეს, ცხადია, საზღვრულის მრავლობითში დაუსმელადაც იგრძნობა. მაგრამ მრავლობითში დასმის ტენდენცია აქაც იჩენს თავს და იმავე ტექსტში სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ცისფერი და წითელი სასახლეები ერთმანეთს ემიჯნებოდა“.

სხვა მაგალითები საზღვრულის მხოლოდობითში დასმისა:

აქ ისე, როგორც საქალაქო თუ ქალაქგარე ბანაკში დილა პიონერული საყვირით თენდება („სახ. გან.“).

არც მცხოვრებლებს დასჭირვებიათ... ბავშვების ქალაქის შორეულ უბანში მდებარე ეზოს თუ საქალაქო ბანაკში მიყვანა („სახ. გან.“).

დიდი სერი სოფელს ყოფდა ორად — ქვემო და ზემო უბნად (ი. გოგებ.).

და ახლანდელ დროში, როცა ეს ზედა და ქვედა სართულის ბატონები ერთმანეთს შეეტაკებინან ხოლმე, გამარჯვება კუჭსა რჩება (აკაკი).

დანით აკეთებენ... თხელ ანათალს... მიწისზედა და მიწისქვეშა შტამბის ორივე მხარეზე („გამარჯვება“).

ამ წრეში ცხრა დაბრკოლება იყო აღმართული: დიდი ორარშინიანი მდინარე, ყრუ ბარიერი სწორედ ფანატურის წინ, უწყლო და წყლიანი არხი... (თ. საყვ. და ლ. ტიტვინ. თარგმ.).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ატრიბუტული მსაზღვრელის უპირველესი თვისება — მიუთითოს საგნის დამახასიათებელ ნიშანზე ან თვისებაზე — ისე აშკარას ხდის ზემომოყვანილ ფრაზებში ორი საგნის (ორი ბანაკის, ორი სართულის, ორი უბნის...) არსებობას, რომ საზღვრულის მრავლობით რიცხვში დასმა ამგვარ შემთხვევებში სრულებით აღარაა საჭირო იმ ფუნქციის შესასრულებლად, რომელზედაც საუბარი იყო ზემოთ, მართულმსაზღვრელიან შესიტყვებებ-

ზე მსჯელობისას. მიუხედავად ამისა, აქაც, ზემომოყვანილთა მსგავს უსიტიყვებებში საზღვრული უმეტესად მრავლობითში დგას.

გეომეტრიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ:

ღრუ სფეროს კედლების მოცულობა 800³ სმ-ია, კედლების სისქე კი 3 სმ. გავივით მისი გარე და შიგა ზედაპირების რადიუსები („სტერეომეტრია“, IX-X კლ.).

წესიერი წაკვეთილი ოთხკუთხა პირამიდიდან ამოჭრილია ორი პირამიდა, რომელთაც აქვთ... ფუძეებად... პირამიდისავე ზედა და ქვედა ფუძეები („სტერეომეტრია“, IX-X კლ.).

ცხადია, არც გარე და შიგა ზედაპირები და არც ზედა და ქვედა ფუძეები ერთმანეთში არ აირევა. ამიტომ აქ საზღვრულის მრავლობითში დასმა რაიმეს დაზუსტების საჭიროებას კი არ ემსახურება, არამედ ენაში არსებული გარკვეული ტენდენციისადმი დაქვემდებარების შედეგია. ასევე არ აერევა არავის ერთმანეთში გეოგრაფიული პუნქტები — ზემო და ქვემო ალვანი, — მაგრამ ახმეტის რაიონულ გაზეთში ანალოგიურ შემთხვევებში საზღვრული მრავლობითის ფორმითაა ნახმარი:

ზემო და ქვემო ალვანებში სამი-ოთხი თვეა, რაც კინო არ უჩვენებიათ („ბახტრიონი“).

ზემო და ქვემო ალვანებში ამ ბოლო დროს ერთგვარად იმატა წვრილმანმა ქურდობებმა („ბახტრიონი“).

ჯერ კიდევ ვხვდებით მიწათსარგებლობის წესების დამახინჯებას ზემო და ქვემო ალვანებში („ბახტრიონი“).

ანალოგიური ვითარებაა ქვემოთ დამოწმებულ წინადადებებშიც:

თბილისის უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის ტერიტორია დაყოფილია რამდენიმე ზონად. ესენია: სასწავლო-სამეცნიერო, სპორტული, დამხმარე-სამეურნეო და საცხოვრებელი ზონები („სამშობლო“).

— შესვენების საათი? — სიცილად არ ჰყოფნით ავეჯის ფაბრიკის № 4 და № 5 ფილიალების ბრიგადირებს („თბილისი“).

ასეთი აზრი შეიძლება შეიქმნას ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ისეთ სამავალითო საწარმოებზეც კი, როგორც № 1, 2 და 4 ატელიეებში („თბილისი“).

დარღვევები აღმოჩნდა აგრეთვე კვებვაჭრობის №№ 23, 34 და 69 მაღაზიებში („კომუნისტი“).

სოფია ვასილიენას ოთახი იყო დიდსა და პატარა სასტუმრო ოთახებს იქით (ივ. მაჭავ. თარგმ.).

ზევით მეთორმეტე და მეცამეტე ნომრებია — უბასუხა კარისკაცმა ლევინს (თ. საყვ. და ლ. ტიტინ. თარგმ.).

საზღვრული, როგორც წესი, მრავლობითში დგას მაშინაც, როდესაც მას ერთდროულად საზღვრავს ატრიბუტული და მართული მსაზღვრელი. ესეც ენაში გაჩენილი საერთო ტენდენციის გამოვლინებაა და არა რაიმე ორაზროვნების თავიდან აცილების ცდა.

სკრის სასოფლო კლუბში შექმნილია დრამატული, გიტარის შემსწავლელი და ცეკვის წრეები („გამარჯვება“).

წყნარი და ინდოეთის ოკეანეების სივრცეს თვეების განმავლობაში არ ტოვებენ ვეშაპშუერი და თევზდამშუავებელი მცურავი ქარხნები („ლელი“).

წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების დანახვა შეიძლება მთა „ირაზუს“ წვერიდან („გამარჯვება“).

ცხადია, ორ უკანასკნელ წინადადებაში საზღვრული მხოლოდობით რიცხვშიც რომ იყოს დასმული, მაინც ორი სხვადასხვა ოკეანე იქნებოდა ნავარაუდები.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ლაპარაკია ორ გამოქვაბულზე. მათგან ერთს ეწოდება გეოგრაფიული, მეორეს — ნაზაროვისა:

სუქტემბერში საბჭოთა და პოლონელმა სპელეოლოგებმა... გამოიკვლიეს ნაზაროვისა და გეოგრაფიული გამოქვაბულები („ახ. კომ.“).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საზღვრულის მრავლობითში დასმის ამგვარი შემთხვევები მომრავლდა უკანასკნელ ხანებში. ცოტა ადრე ატრიბუტული მსაზღვრელების ერთ ჯგუფთან საზღვრული უმეტესად მხოლოდობითში დაისმოდა. ილიასთან გვაქვს:

მინამ დიდი მთავარი აქ ბრძანდებოდაო... ქართული და სომხური თეატრი არ იყო.

ამ შემთხვევამ ფრთა შეასხა იმ დიდის ხნის სურვილს, რომ სამუდამო სომხური და ქართული სცენა გაიმართოს.

ქართულ და, ნამეტნავად, სომხურ თეატრში ხალხი ბევრი დაიარებოდა და რუსულში კი არაო.

არაერთხელ ატეხილა ჩვენს ფეხმოკლე ლიტერატურაში საუბარი ახალ და ძველ თაობაზე.

ჩვენში ამისთანა სიტყვები, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცალიერი და ფუყე სახელებია.

წერილი „ხმა შორიდან“ შეეხება ეგრეთწოდებულს „ახალს და ძველს თაობას“ ჩვენში.

ახალს თუ ძველს თაობას იმათში ეძიებს, რომელნიც საზოგადო სარბიელზე გამოსულან სამოქმედოდ.

მართლა-და რა არის და ვინ არის ახალი ან ძველი თაობა?⁴

ჩვენთვის საინტერესო შემთხვევათა ერთ წყებაში ატრიბუტულ მსაზღვრელებად გვევლინება რიგობითი რიცხვითი სახელები. XIX საუკუნის მწერალთა ნაწერებიდან დამოწმებულ ორიოდ შემთხვევაში ამგვარ შესიტყვებებში საზღვრული მხოლოდობით რიცხვმა დგას:

პირველს და მეორე შემთხვევაში გიროდ მიიღებოდა უძრავი ქონება (ილია).

ამასთანავე უმცირება გამოიჩინა გადაღმიელმა მესამე და მეოთხე სიტყვის დაწუნებით (ი. გოგებ.).

ასე გავიდა ბაბალესთვის პირველი და მეორე წელი (ე. ნინოშ.).

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ამგვარ შესიტყვებებში საზღვრულის მხოლოდობით რიცხვში დასმის შემთხვევები დღესაც გვხვდება:

დერეფანში კი დედალ-მამალი ქედნების დუღუნევით ისმოდა პირველი და მეორე ჰობოის შეწყობილი ხმები (მ. ელიოზ.).

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სვენიით მოწამლული ადამიანის მესამე და მეოთხე თაობაც კი მახინჯი გამოდის („გამარჯვება“).

XIII სკოლის შენობის აგებაში წელილი VII და X სკოლის პიონერმშენის ბრიგადებსაც მიუძღვით („გამარჯვება“).

მაგრამ შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში საზღვრული მრავლობით რიცხვშია დასმული:

ვაჟა-ფშაველას პროსპექტის პირველ და მეორე შესახვევებში თავიდანვე იყო განათება („თბილისი“).

...საბჭოთა კავშირის ხალხთა III, IV, V სპარტაკიადების ჩემპიონისათვის... ძნელი იქნება ამ მაღალი ტიტულების შენარჩუნება („გამარჯვება“).

25-ე და 26-ე წუთებზე ხუციშვილი ორჯერ კარგად ჩავიდა მეკარის საჯარიმო მოედანზე („გამარჯვება“).

დაძაბული ბრძოლა გაიმართა მეორე და მესამე საპრიზო ადგილები სათვის („ლელო“).

4 დღეს ამ გამოთქმაში საზღვრული ყოველთვის მრავლობით რიცხვში დგას: ერთი სიტყვით, ძველი და ახალი თაობები „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლაში ჩაებნენ („ლელო“).

მაგრამ ანალოგიურ შემთხვევებში საზღვრულის მრავლობითში დასმა უახლესი მოვლენა რომ არ არის, ამაზე მიუთითებს მაგალითები იაკობ გოგებაშვილის ნაწერებიდან:

... რომ ცოტაოდნად მაინც გაცნობილი ჰქონოდა საუკეთესო რუსული და ნემეცურ ანბანები, ეცოდინებოდა, რომ ეს უსიმეტრიობა ყოველგანა სუფევს.

... რუსულს და ნემეცურს ანბანებში ხელთნაწერიც არის მოქცეული.

„ოქროს ქალღმერთის თასის“ II და III გათამაშებებში... ურუგვაელები არ მონაწილეობდნენ (შ. ლარცულიანი, გ. მეტრეველი, „ჩილი“, 1962).

მიღება იწარმოებს პირველ და მესამე კურსებზე („ახ. კომ.“).

კოლექტივში ძირითადად რაიონის მე-4 და 26-ე სკოლების მოსწავლეები არიან გაერთიანებული („თბილისი“).

ეტიუდებში გამარჯვება ხვდა ექიმ გ. ნადარეიშვილს, რომელმაც დაიმსახურა პირველი და მეორე ჯილდოები („ახ. კომ.“).

აქ თავი მოიყარეს I, III და V საშუალო სკოლების პედაგოგებმა („პიათ. შალარ.“).

უნდა ჩაატარო ორი დამატებითი წერკინება მე-5 და მე-6 წრეებში („ლელო“).

უკანასკნელი მეშვიდე და მერვე ტომები შეიცავენ კრიტიკულ სტატიებს, წერილებს („თბილისი“).

ფიზკულტურებს დიდ დახმარებას უწევენ № 16 და № 9 სახლმმართველობებიც („ლელო“).

მეცხრე და მეხუთე მიკრორაიონების ახალ ქუჩებზე გამწკრივდა... სახლები („გამარჯვება“).

ამგვარად, რამდენიმე მსაზღვრელიან შესიტყვებაში, თუ ეს მსაზღვრელები გამოხატულია რიგობითი რიცხვითი სახელით, საზღვრული მრავლობით რიცხვში დგას.

ატრიბუტულ ან მართულ მსაზღვრელთა ერთ ნაწილს ამგვარ შესიტყვებებში დამატებით მსაზღვრელად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელები და მათთან საზღვრული ყოველთვის მხოლოდობით რიცხვშია:

სპარტაკიადამი მონაწილეობდნენ 35 საშუალო და 15 რვაწლიან სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები („სახ. გან.“)⁵.

აქ შექმნილია და მუშაობს 8 საგნობრივი და თვითმოქმედი წრე („საბჭ. ხელ.“).

XIX ოლიმპიურ თამაშებში გათამაშებული იყო 1067 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ოლიმპიური მედალი („გამარჯვება“).

ახლა თავისი კარის ზღურბლთან ორნი შენიშნა — ერთი დიდი და ერთი პატარა კაცი („სამშობლო“).

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ვაჟთა 5 და ქალები 5 („ლელო“).

ამ რკალმა უნდა გადაკვეთოს მოცემული სწორი ხაზი ორ a და b წერტილში („საზვა“, VII და VIII კლ.).

ამ შემთხვევაში AB სწორ ხაზზე ავიღოთ ნებისმიერი ორი m და n წერტილები („საზვა“, VII-VIII კლ.).

5 შდრ. იქვე: სპარტაკიადაზე წარმატებით გამოვიდნენ კასპის, წყალტუბოს, ცხაკაიას და ახალციხის... საშუალო სკოლა-ინტერნატების გუნდები...

მაგრამ იშვიათი გამონაკლისები აქაც გვაქვს:

... ნახაზზე ორი A და B ბუთულები თანაბრად მოძრაობენ („ფიზიკა“, IX კლ.).

... საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი თორმეტბინიანი და ერთი ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლები („კომუნისტი“)⁶.

ბუნებრივია, რომ მხოლოდობით რიცხვში გვხვდება საზღვრული იმ შემთხვევაში, როცა მას საზოგადოდ არა აქვს უნარი აწარმოოს მრავლობითი რიცხვი. ასეთებია: პრესა, არენა, საზოგადოებრივი აზრი, დისციპლინა (წესრიგის მნიშვნელობით), პროზა, პოეზია, შემოქმედება, მუსიკა, ქსელი, ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, შრომა (გარჯის მნიშვნელობით) და მისთ. ეს სახელები საზღვრულის როლში რამდენიმე მსაზღვრელთან ყოველთვის მხოლოდობით რიცხვს გვიჩვენებენ. მაგალითები:

ამაზე უკვე დაიწერა სამამულო და უცხოეთის პრესაში („კომუნისტი“).

იგი ძალზე დადებითად შეაფასა ქართულმა და საკავშირო პრესამ („ახ. კომ.“).

უკანასკნელ წლებში ვერ შევძელით დიდ საკავშირო და საერთაშორისო არენაზე გავცეტანა თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებები („ლიტ. საქ.“).

დეღეგაცია მოუწოდებს მსოფლიო და ამერიკის საზოგადოებრივ აზრს შეაჩერონ მკვლევები („კომუნისტი“).

როგორც ჩანს, საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგ ობიექტზე ირდევია შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა („თბილისი“).

ძალზე საინტერესოდ მიმაჩნია ვასილ ბარნოვის... მოთხრობები, გამზათების, ყულიევის პროზა და პოეზია („ლიტ. გაზ.“).

მას შეეძლო ელაპარაკა ყველაფერზე — ქართულ, რუსულ და ევროპულ პოეზიაზე, პროზაზე, ხელოვნებაზე, არქიტექტურაზე („ლიტ. საქ.“).

მე კი ვცდილობ იმ ნოველის ახირებული გმირის თვალსაზრისით შევხედო რუსთაველისა და დანტეს, ტოლსტოისა და შექსპირის შემოქმედებას, ბეთჰოვენისა და მოცარტის, ვაგნერისა და ბახის მუსიკას („ლიტ. საქ.“).

განუწყვეტლივ ფართოვდება და დიდდება ვაქრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელი („თბილისი“).

ყოველწლიურად სულ უფრო ხშირდება ელექტრო და სატელეფონო ქსელი („თბილისი“).

⁶ უკანასკნელ შემთხვევაში საზღვრულის მრავლობითის ფორმა იმითაც უნდა იყოს გამოწვეული, რომ აქ ორისა და ერთის მსაზღვრელობითს ძალას აქარბებს თორმეტბინიანისა და ოთხბინიანის შთაბეჭდილება.

ორივე შემთხვევაში გამოვლინდა ქართული თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების მაღალი დონე („საბჭ. ხელოვ.“).

სრულყოფენ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას („ლელო“).

იმყოფებოდა კომკავშირულ, პროფკავშირულ და საბჭოთა სამუშაოზე („კომუნისტი“).

დღევანდელ სუფრაზე მას შეუძლია პირველი, მეორე და მესამე მოსაველის კარტოფილით შეზავებული კერძები შესთავაზოს სტუმრებს („ახ. კომ.“).

ღარბი ხუროს ოჯახში აღზრდილის ძარღვებში ჩქეფდა ინდიელის, ესპანელისა და ზანგის სისხლი („ახ. კომ.“).

თანდათან იშლება საზღვარი ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის („ახ. კომ.“).

მაგრამ ტენდენცია საზღვრულის მრავლობითში ხმარებისა იმდენად მომძლავრებულია, რომ აქა-იქ, მაგრამ მაინც გვხვდება: მწერლობები, ლიტერატურები, ცივილიზაციები, ეპოსნი, მეთოდოკანი და მისთ.:

ტეოტიხუაკანის ცივილიზაციის ნანგრევებზე შეიქმნა ჯერ ტოლტეკების, შემდეგ კი აცტეკების ცივილიზაციები (გ. ფანჯ.).

სულ მოკლე დროის მანძილზე ზედღებდ ვნახე ელინური და რომაული, ძველევგვიპტური, ქრისტიანული და მაჰმადიანური კულტურების ყველაზე თვალსაჩინო ძეგლები („ლიტ. საქ.“).

ეგვიპტის, მესოპოტამიის და საბერძნეთის კულტურათა აყვავების ხანაში ქართული მოდგმის ტომებს ეკავათ გაცილებით უფრო დიდი ტერიტორია („ლიტ. საქ.“).

წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა ათლეტები ქვემძიმე და მძიმე წონებში („ლელო“).

მწვრთნელთა და სპეციალისტთა სამართლიან შემფოთებას იწვევს ჩავარდნა უმჩატეს და ქვემსუბუქ წონებში („ლელო“).

... მე წინასწარ ვგვრებ... გამხნეებას და რჩევას, რაც... ხელს შემიწყობს, რომ თუნდაც მოკრძალებული წვლილი შევიტანო ქართული და ინგლისური მწერლობების დაახლოებაში („ლიტ. საქ.“).

ქართული და რუსული ლიტერატურების ურთიერთკავშირის მატინეს შეემატა ახალი ფურცელი („ლიტ. საქ.“).

იმდროინდელი არაბული და სპარსული ლიტერატურები იყო მთელი აღმოსავლეთის ფანტაზიის და ოცნების ნამდვილი სალარო (ჯ. ლომაშ.).

... პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდოკათა კათედრების წევრები იუწყებიან... („თბილისი“).

პირველ შემთხვევაში გაანალიზებულია ამირანისა და გილგამეშის ეპოსთა სიუჟეტური შეხვედრის შვიდი ნიმუში („ლიტ. გაზ.“).

ორი სამყაროს — სოციალისტური და კაპიტალისტური სამყაროების იდეოლოგიათა ბრძოლის გამწვავების პირობებში... ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი უბანია რაიონული პრესა („გამარჯვება“).

ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ფიჭვის გვარი... უძლებს უაღრესად მაღალ და დაბალ ტემპერატურებს („ხაჯ. ბუნება“).

როგორც უკვე აღინიშნა, მსაზღვრელები ერთმანეთთან კავშირებითაა შეერთებული. აქამდე დამოწმებული მასალიდანაც ჩანს, რომ და კავშირით შეერთებულ მსაზღვრელებთან საზღვრული შეიძლება მხოლოდობითშიც შეგვხვდეს და მრავლობითშიც. აღრევა გვხვდება ერთგვარ შესიტყვებებში, ზოგჯერ ერთისა და იმავე ავტორის ნაწერშიც კი. შდრ. მაგ.:

ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ შ ი ა :

C და A წერტილებს შეეერთებთ AC სწორი ხაზით („ხაჯა“, VII-VIII კლ.).

გადაკვეთის ეს წერტილები აღვნიშნოთ 1 და 2 ციფრებით („ხაჯა“, VII-VIII კლ.).

ცენტრის ხაზები წარმოადგენენ ურთიერთმართობულ AB და DC დიამეტრებს („ხაჯა“, VII-VIII კლ.).

x, y და z დერძების აგება ზემოთ ახსნილი მაგალითის მიხედვით მოხდება („ხაჯა“, VII-VIII კლ.).

F ტოლქმედის მუშაობა F_1 და F_2 მდგენელი ძალების მუშაობათა ჯამის ტოლია („ფიზიკა“, IX კლ.).

... ნახაზზე გამოსახულია ორი შეერთებული ცილინდრი A და B დგუშებით („ფიზიკა“, IX კლ.).

ABCD პარალელოგრამში... ბისექტრისები AC დიაგონალს კვეთს M და N წერტილებში („სტერეომეტრია“, IX-X კლ.).

ჩვენი დაშვება, რომ P და Q სიბრტყეები გადაიკვეთება, სწორი არ არის („სტერეომეტრია“, IX-X კლ.).

ნახევარსფეროს ფუძეში ჩახაზულია მართკუთხედი a და b გვერდებით („სტერეომეტრია“, IX-X კლ.).

ab და AB წრფეები შეიძლება განვიხილოთ („სტერეომეტრია“, IX-X კლ.).

ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი მ ხ ო ლ ო ბ ი თ შ ი ა :

ამ წერტილის მიღება შეიძლება x და y დერძის პარალელური სწორი ხაზების გავლებითაც („ხაჯა“, VII-VIII კლ.).

შემოვხაზოთ... ფარგლით R და r რადიუსიანი რკალები („ხაჯა“, VII-VIII კლ.).

თუ შეეერთებთ... წერტილებს სწორი ხაზით, მივიღებთ O და O_1 ცენტრზე შემოხაზული წრეხაზების... შეუღლებას... („ხაჯა“, VII-VIII კლ.).

ზოგჯერ ერთგვარობა არა გვაქვს დაცული საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც კი. ჩვეულებრივ, მსაზღვრელი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი („სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები“...; „ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბო-

ლოებანი“; „მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში“; „მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში“; „ფუძეუქვეც სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის“; „ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში“...), მაგრამ იქვე საზღვრულის მხოლოდობით რიცხვში დასმის შემთხვევებიც გვხვდება: („მიცემითი და ვითარებითი ბრუნვის სინტაქსური ფუნქციების მსგავსება და მათი მონაცვლეობა აიხსნება...“ „ეს იგივე ოდენობაა, რაც მხოლოდობითი რიცხვის მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებთან გვაქვს“...).

გამოთქმათა ერთ საინტერესო ჯგუფს ქმნის შესიტყვებები **ქართული და რუსული ენის ტიპისა**. ამ შემთხვევაში საზღვრული სახელი უმთავრესად მრავლობით რიცხვშია დასმული.

ინგლისური ენის შესწავლით გატაცებამ... დაბადა საშიშროება ისეთი დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ენების განაპირობისა, როგორც არის გერმანული და ფრანგული ენები („კომუნისტი“).

რამდენს მოიგებდა ჩვენი კულტურა, ასობით თუ არა, ათობით ქართველმა ახალგაზრდამ მანც საფუძვლიანად რომ იცოდეს დანტეს ენა..., იაპონური და ჩინური ენები („კომუნისტი“).

აღნიშნული მოხსენებები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე („ლიტ. გაზ.“).

ვათხრების დროს აღმოაჩინეს თიხის ფირფიტები, რომლებზეც მოცემულია ლურსმული ტექსტები ბაბილონურ და ელამიტურ ენებზე („კომუნისტი“).

... რედაქციაში რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე მთარგმნელად მუშაობს („გამარჯვ. დროში“).

ოტობენის საერთაშორისო აეროპორტი მორთულია მისასალმებელი ტრანსპარანტებით რუსულ და რუსულ ენებზე („კომუნისტი“).

[ქურნალში] წერილების ნაწილი ინგლისურ და გერმანულ ენებზეც იბეჭდება („სამშობლო“).

ყველა მასალას მკითხველი გაეცნობა ქართულ და რუსულ ენებზე („საბჭ. ხელ“).

ქვემდებარისა და შემასმენელის ურთიერთობის შესახებ რუსულ და ქართულ ენებში („კომ. აღზრდ.“).

15-20 წლის შემდეგ გერმანული და ფრანგული ენების მცოდნენი აღარ გვეყოლებიან („კომუნისტი“)⁷.

7 ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში საზღვრულის მხოლოდობით რიცხვში დასმა გამოწვეულია იმით, რომ იგულისხმება ერთი ქართული ენა: „ბევრ ახალგაზრდას... სურს... დედანში ჩასწვდეს რუსთაველისა და სულჯან-საბას, ბესიკისა და ილიას, ბარათაშვილისა და გალაკტიონის ენას“ („თბილისი“); სხვა წინადადებაში კი საზღვრულის მრავლობითი დასმის საფუძველს ნაგულისხმევი განსაკუთრებული შინაარსი წარმოადგენს: დავით

გამონაკლისს ვხვდებით, მაგრამ ძლიან იშვიათად:

ეს სილყეები მხოლოდ იმ სწავლულს შეეძლო ეთქვა..., [ვინც] ღრმად სწვდება ჯართული და სპარსული ენის ბუნებას (დ. კობ.).

[მან]... კარგად იცოდა რუსული და ფრანგული ენა („ლიტ. ხაქ.“).

ამგვარად, მაჯგუფებელი და კავშირით შეერთებულ რამდენიმე მსაზღვრელთან საზღვრული გვხვდება მხოლოდობით რიცხვშიც და მრავლობითშიც, მაგრამ მეორე რიგის შემთხვევები შეუღარებლად უფრო ხშირია.

სათანადო ტიპის შესიტყვებებში მსაზღვრელთა შესაკავშირებლად მაჯგუფებელი კავშირი თუ იშვიათად გვხვდება, მაგრამ, როცა კი გვხვდება, საზღვრული მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

საბჭოთა ადამიანები ფიქრობენ, რომ... დიდსა თუ მცირე ერს თავისი თვისობრივი თავისებურებანი აქვს („ლიტ. ხაქ.“).

უცხო თუ შინაური კაცი ამ რკინაზე იწმენდა ტალახიან ფეხსაცმელებს (რ. გვებ.).

იმ შემთხვევაში, როცა მსაზღვრელი სახელები შეერთებულია მაცალკავებელი ან კავშირით, საზღვრული მხოლოდობით რიცხვში დაისმის:

მთავარია, ახალგაზრდამ კარგად იცოდეს ფრანგული, გერმანული თუ ინგლისური, ესპანური ან იტალიური ენა („კომუნისტი“)⁸.

... მაშინ... ფურცელზე უნდა გამოიხაზოს... ყველა ის ხაზი, რომელიც 41-ე ან 42-ე ნახაზზეა ნაჩვენები („ხაზვა“, VII-VIII კლ.).

... ე. ი. გვექნება მარტო c ან d წერტილი („ხაზვა“, VII-VIII კლ.).

დარგვის სიხშირის მიხედვით იღებენ მე-5 ან მე-6 რიგს („გამარჯვება“).

საზღვრული მხოლოდობით რიცხვშია წარმოდგენილი მაშინაც, როდესაც მსაზღვრელები ხან-ხან და არც-არც კავშირ-ნაწილაკებითა დაკავშირებული.

სწორედ ჯარისკაცებივით დამწკრივდებოდნენ ხან ერთ, ხან ორ რიგად (ი. გოგებ.).

გურამიშვილისა და ანტონ პირველის სამწერლო ენებს შორის განსხვავება, რაღა თქმა უნდა, არის“ („ცისკარი“).

⁸ შდრ.: „როგორც წესი, იგი ლექციებს ინგლისურ ან გერმანულ ენებზე კითხულობს“ („სამშობლო“). მრავლობითი რიცხვის ფორმის („ენებზე“) უადგილობა ამ შემთხვევაში სრულიად აშკარაა.

რემინგტონზე მომუშავე ქალები გადაბეჭდილ ქაღალდებს მოარბენინებდნენ ხან ერთ, ხან მეორე ოთახში (რ. გვეტ.).

ხვარამზე ყოველ კვირაში დადიოდა ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე მკითხავთან (ე. ნინოშ.).

მაგრამ არც ძველი და არც ახალი სახლი მას არ მოეწონა („კომუნისტი“).

საზღვრული მხოლოდობითშია წარმოდგენილი იმ შემთხვევაშიც, თუ მსაზღვრელებს შორის დგას რთული კავშირი როგორც ... ისე || ასევე.

რომბის გამოხაზვისათვის D წერტილიდან როგორც x , ისე y დერძე გადავზომავთ... მონაკვეთს („ხაზვა“, VII-VIII კლ.).

როგორც Q , ისე Q_1 წერტილიდან შესაბამის მართობებზე მოვზომოთ წერტილები C და C_1 („ხაზვა“, VII-VIII კლ.).

შემოვხაზოთ წრეხაზის რკალები მთლიანი წვრილი ხაზებით როგორც A , ისე B წერტილიდან („ხაზვა“, VII-VIII კლ.).

ამგვარ შესიტყვებებში საზღვრულის მრავლობითში დასმის შემთხვევები ძალიან იშვიათია; ნიმუშისათვის შეიძლება იგივე ხაზვის სახელმძღვანელო მოვიშველიოთ:

როგორც m ისე n წერტილებიდან ამ მართობებზე მოვზომოთ წერტილები.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდან კარგად ჩანს საანალიზო საკითხის თვალსაზრისით დღევანდელ ქართულში არსებული ვითარება:

... გავატაროთ O წერტილზე აქსონომეტრიული x , y და z დერძები... O წერტილიდან როგორც x ისე y დერძე... გადავზომოთ... ტოლი მონაკვეთები. მიღებულ წერტილებზე გავავლებთ x და y დერძის პარალელურ სწორ ხაზებს („ხაზვა“, VII-VIII კლ.).

როგორც ცნობილია, ცალკე მდგომი თანდებული შორის განსაკუთრებულ შემთხვევებში იხმარება. სპეციალურ ლიტერატურაში¹⁰ მითითებულია, რომ ეს თანდებული შეიძლება დაერთოს ორ სახელსაც და ერთსაც. უკანასკნელ შემთხვევაში ამ თანდებულთან სიტყვასკრებიტობის შინაარსი აქვს ან მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი. ჩვენთვის საინტერესო შესიტყვებათა უმრავლესობაში შორის თანდებულთან საზღვრული მხოლოდობით რიცხვშია:

⁹ შღრ. იქვე: O და O_1 წერტილებზე, როგორც ცენტრებზე, შემოვხაზოთ წრეხაზის რკალები.

¹⁰ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი, გვ. 108, 121.

რამდენიმე შემთხვევაში იყო ომისა კრიტიკა და ოსმალთა ჯარს შორის (ილია).

ერთი ოთხიოდე საუკუნეა თბილისი მეცხრესა და მეცამეტე საუკუნეს შორის (ილია).

შესაძლებელი იყო დავითისა და ტარიელის ოჯახს შორის აწინდელი გამწვავებული დამოკიდებულების დროს გზაზე რაიმე დაბრკოლება შემთხვევითა [გიოს] (ლ. ჭიანჭი).

გამონაკლისი აქაც გვაქვს:

პირველი წრის მატჩი თბილისის „სპარტაკის“ და მოსკოვის „ცდკას“ გუნდებს შორის დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით („კომუნისტი“).

წარმოდგენილი მასალა აშკარას ხდის, რომ განსახილველი საკითხის თვალსაზრისით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, პრესის, სახელმძღვანელოების, მხატვრული ლიტერატურის ენაში შეიმჩნევა პარალელურ ფორმათა მოჭარბება და ზოგჯერ ამ ფორმათა აღრევაც კი. ეს ერთი მხრით. მეორე მხრით, წარმოდგენილი მასალის ანალიზი ააშკარავებს გარკვეულ კანონზომიერებებს, რაც შემუშავებულია სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში. განხილული მასალის ანალიზის საფუძველზე, კერძოდ, შეიძლება დავსკვნათ, რომ რამდენიმე მსაზღვრელიან შესიტყვებებში

I. საზღვრული მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი,

1. როცა შესიტყვებაში მსაზღვრელები მართულია (გელათისა და ბაგრატიის ტაძრები, ქალთა და ვაჟთა გუნდები);

2. როცა საზღვრულს ერთად ახლავს ატრიბუტული და მართული მსაზღვრელი (წყნარი და ინდოეთის ოკეანეები, დრამატული და ცეკვის წრეები);

3. როცა ატრიბუტულ მსაზღვრელებად გვაქვს რიგობითი რიცხვითი სახელები (პირველი და მეორე შესახვევები, მე-4 და 26-ე სკოლები...);

4. როცა შესიტყვებაში გვაქვს ერთი (უმეტესი) წყება ატრიბუტულ მსაზღვრელთა (ქართული და რუსული ენების, გარე და შიგა ფუძეების, ზემო და ქვემო სართულებების და მისთ. ტიპისა).

II. საზღვრული მხოლოდობით რიცხვშია დასმული,

1. როცა მას საერთოდ არ ეწარმოება (არ შეეფერება) მრავლობითი რიცხვის ფორმა (პრესა, არენა, პროზა, პოეზია, კულტურა, ცივილიზაცია...);

2. როცა ატრიბუტულ მსაზღვრელებს დამატებით საზღვრავს კიდევ რაოდენობითი რიცხვითი სახელები (ერთი დიდი და ერთი პატარა კაცი, ვაჟთა 6 და ქალოთა 5 გუნდი...);

3. როცა მსაზღვრელები ერთმანეთთან შეკავშირებულია ზოგიერთი კავშირით (ან, როგორც — ასევე || ისე, არც — არც. ხან — ხან) და თანდებულთ (შორის).

III. საზღვრულის მრავლობითში დასმის შემთხვევები შეუდარებლად სჭარბობს მხოლოობითში დასმის შემთხვევებს. ტენდენცია ენისა ამ მხრივ დღეს საკმაოდ გამოკვეთილია.

რამ შეუწყო ხელი ამ ტენდენციის გაჩენას ქართულში?

ვიდრე ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საანალიზო სიტყვათშეხამება ახალია, ძველი და საშუალო საუკუნეების ძეგლებში ასეთი შეწყობა არ გვხვდება. მის სანაცვლოდ საშუალო საუკუნეების ქართული იყენებს შეიძლება ნაკლებ ლაკონურს, მაგრამ უფრო ცხად და ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივ შეწყობას: დიდი და პატარა სახლი || სახლები-ს ნაცვლად იქ გვაქვს დიდი სახლი და პატარა სახლი.

შავი დევი და ხაზარან დევი საზაროდ კმანო („რუსუდანაინი“).

ერთი გლახაკი კაცი მოვიდოდა გზასა. ნახა ორი გველი — ერთი შავი და ერთი წითელი (საბა).

ერთი რიგი სულ თეთრი ორხაო ეწყო ერთმანეთზე, ერთი წითელი, ერთი მწვანე („რუსუდანაინი“).

სამნი ამხანაგნი შეიყარნენ: ერთი ისპაანელი, ერთი გილანელი და ერთი განჯელი (საბა).

ჩვენ მიერ განხილული სიტყვათშეწყობა დამკვიდრდა გასულ საუკუნეში და გაბატონდა უკვე ჩვენს დროში. წარმოშობით იგი ე. წ. სინტაქსურ-კონსტრუქციული კალკი ჩანს, რომელიც მკვიდრდება სალიტერატურო ენაში. ოღონდ საჭირო ხდება დაზუსტება საზღვრულის რიცხვის საკითხისა. იმ შემთხვევაში, როცა შინაარსის გაბუნდოვანება მოსალოდნელი არაა, სადაც საზღვრულის მხოლოობითი თუ მრავლობითი რიცხვის ფორმა ფრაზას შინაარსს ვერ უცვლის, ქართულისათვის უფრო ბუნებრივი ჩანს საზღვრულის მხოლოობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენა. ისეთი შეხამებები, როგორიცაა: პირველი და მეორე შემთხვევები, IX და X კლასები, ქართული და რუსული ენები, გარე და შიგა ფუძეები, ზემო და ქვემო სართულები, ძველი და ახალი თაობები და მისთ. არ ჩანს ბუ-

ნებრივი. უმჯობესი იქნებოდა, საზღვრული მხოლოდობითი რიცხვის ფორმით ყოფილიყო წარმოდგენილი. ფრაზის შინაარსი არ შეიცვლებოდა და ბუნებრივ ქართულ გამოთქმასაც შევინარჩუნებდით. ლექსიკური და განსაკუთრებით სინტაქსური კალკი მხოლოდ მაშინ ემსახურება ენის გამდიდრების მნიშვნელოვან საქმეს, თუ იგი ადვილად თავსდება მსესხებელი ენის ყალიბში, თუ იგი მსესხებელ ენაში უცხო სხეულად არ განიცდება.